

2016 წლის ანგარიში

2016 წელს მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი 28 177 766 ლარს შეადგენდა.

გასული წლისთვის, მარნეულის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებს წარმოადგენდა შემდეგი მიმართულებები:

- თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის მარნეულის მუნიციპალიტეტში გასულ წელს ხორციელდებოდა წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, 2016 წელს განხორციელდა 13 611 319 ლარის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი, კერძოდ:

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა:

- სოფელ სადახლოში საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა;
- სოფ. ლეჟბადინში მდინარე ალგეთზე არსებული ხიდის რეაბილიტაცია და ნაპირსამაგრი სამუშაოები;
- ქ. მარნეულში რუსთაველის ქუჩის N25/N86 და მაზნიაშვილის მრავალბინიანი ხუთ სართულიანი შენობების სახურავის რეაბილიტაცია;
- სოფელ იმირში (მდინარე შულავერას მარჯვენა სანაპიროზე) და სოფელ მეორე ქესალოში (მდ. მტკვარზე) ნაპირსამაგრი სამუშაოები;
- სოფელ წერეთელში ნადირაძის ქუჩის რეაბილიტაცია;
- ქ. მარნეულში რუსთაველის ქუჩა N71/73-ში ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე (დაახ. 1500 მ2) სკვერის კეთილმოწყობა;
- სოფელ ზემო სარალში სარწყავი წყლის მილსადენის რეაბილიტაცია;
- ქალაქ მარნეულში, ქობულეთის ქუჩის მიმდებარე მდინარე ალგეთზე ნაპირსამაგრის მოწყობა;
- სოფელ ბეგლიართან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;
- სოფელ კიროვკასა და პირველ ქესალოში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა;
- სოფელ წერეთელში არსებული რიტუალების სახლის ტერიტორიის მოწყობა;
- სოფელ შაუმიანში სკვერის მოწყობა;
- სოფელ ქვემო სარალში სასმელი წყლის რეზერვუარისა და ჭაბურღილის მოწყობა;
- სოფელ აღმამედლოში კულტურის სახლის სახურავის და ერთი ოთახის რეაბილიტაცია;
- ქალაქ მარნეულში გარე განათების მოწყობა;

- სოფელ ამბაროვკაში სარწყავი წყლის ჭაბურღილის მოწყობა;
- სოფელ დიოკნისში სკოლასთან მისასვლელი გზის მოასფალტება;
- სოფელ საიმერლოში ჯავახიშვილის ქუჩის, ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა;
- სოფელ დამია-გეურარხში საჯარო სკოლის შენობაში სკოლამდელი აღზრდის ბავშვების ოთახების რეაბილიტაცია;
- სოფელ წერეთელში სარწყავი ქსელის რეაბილიტაცია;
- სოფელ აღმამედლოს ცენტრალური გზის ასფალტ-ბეტონის საფარით მოპირკეთება;
- სოფელ სიონში კულტურის სახლის შენობის რეაბილიტაცია;
- სოფელ თაქალოში დარჩენილი ერთი ქუჩის, კირაჩ-მულანლოში, კაჩაგანში, დოლისყანაში და საიმერლოში გარე განათების მოწყობა;
- სოფელ სადახლოში ომში დაღუპული გმირების სახელობის სკვერის მოწყობა;
- სოფელ თაზაქენდში, აღმამედლოში, ბურმაში სასმელი წყლის ჭაბურღილისა და შიდა ქსელის მოწყობა;
- ქალაქ მარნეულში 26 მაისის ქუჩაზე N3 საბავშვო ბაგა-ბაღის ეზოს კეთილმოწყობა;
- მანეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ალავარში, ახლოლალლოში, ცოფში, გიულბახში, კასუმლოში, კიროვკაში, ქემალოში, ხოჯორნში, ბრდაზორში, დაშტაფაში, კირიხლოში, მარადისში, ყუდროში, ქვემო ყულარში და წითელ სოფელში შიდა გზების მოხრეშვა;
- სადგური სადახლოს მისასვლელი გზაზე (I ეტაპი), სოფელ წერაქვში მისასვლელ გზაზე (I ეტაპი), სოფელ სიონში სვანების დასახლება ზემო უბანში, ტალიაშვილებისა და კუპატაძეების უბანში მისასვლელ გზებზე რკ. ბეტონის საფარის მოწყობა.

2016 წლის “სოფლის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში” დასრულებულია 86

პროექტი

მათ შორის:

- სასმელი წყლის სისტემის მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები განხორციელდა 9 სოფელში.
- სასმელი წყლის გამრიცხველიანება 12 სოფელში.
- გარე განათების მოწყობის სამუშაოები განხორციელდა 29 სოფელში.
- მოიხრეშა გზები 9 სოფელში.
- სარწყავ არხებს რეაბილიტაცია ჩაუტარდა 5 სოფელში.
- სასაფლავს ღობის რეაბილიტაცია ჩატარდა 6 სოფელში.

რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა და მიმდინარეობს შემდეგი პროექტები:

- სოფელ სადახლოში, ახლოლალლოსა და სოფ. ზემო სარალში სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობა;
- სოფ. კასუმლოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;
- სოფ. დამია-გეურარხში, თაქალოში, თამარისში, ქუთლიარსა და ყიზილაჯლოში შიდა გზების რეაბილიტაცია;
- სოფელ ალგეთში საბავშვო ბაღის მშენებლობა 150 ალსაზრდელზე (მიმდინარე პროექტი) .

- “მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის შიდა საავტომობილო გზების მოვლა-შენახვის სამუშაოების” ფარგლებში ქალაქ მარნეულში მოიხრემა ქალაქ მარნეულის 21 ქუჩა და 20 სოფლის გზა.
- 2016 წელს გარე განათება მოეწყო 31 სოფელში და ქ. მარნეულის 29 ქუჩაზე.
- გაცემული იქნა - 394 მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

- მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენდა საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია.

2016 წელი:

- ქ. მარნეულში N3 საბავშვო ბავშვთა კაპიტალურად რეაბილიტირდა, რომელიც გათვლილია 400 აღსაზრდელზე, ასევე კეთილმოეწყო ეზო.
- სოფელ ალგეთში დაიწყო საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა.
- სოფელ სადახლოში საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა.
- ს.თამარისში ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია.
- დამია-გეურარხის საჯარო სკოლაში სკოლამდელი აღზრდის ბავშვებისათვის ოთახების რეაბილიტაცია.
- ახალი საბავშვო ბავშვთა სასახლე გაიხსნა სოფელ კაპანახში, სოფელ ხიხანში, დამიაში (მცირე ტიპის); ახალი ბავშვთა სასახლე აღმამედლოს.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას.

- ბიბლიოთეკის გამართული ფუნქციონირებისათვის სხვადასხვა სახის სამუშაოების გატარება (სკვერის მოწყოფა, წიგნების ფონდის გამდიდრება, შიდა დიზაინის მოწობა);
- წლის განმავლობაში ჩატარდა მასშტაბური კულტურული ღონისძიებები, ესენია: ნოვრუზ ბაირამი, 9 აპრილი, 26 მაისი, 1 ივნისი, ფესტივალი ერთიანი კავკასია, კულტურის ცენტრთან არსებული შემოქმედებითი კოლექტივების კონცერტები, ფერტივალი „ერთიანი კავკასია“; მ.ჯავახიშვილის სახელობის სახალხო თეატრების ფესტივალი, ღვინის ფესტივალი და ა.შ

ახალგაზრდების წარმატება საზღვარგარეთ

➤ აღსანიშნავია, რომ ანსამბლი „ენგური“ 2016 წლის თებერვალში, ესპანეთში გამართულ ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე “Folk Festival in Catalonia”, გრან-პრის მფლობელი გახდა.

➤ გასულ წელს მარნეულიდან ორმა ახალგაზრდამ (ორმა გოგონამ) პოლონეთში, „ბოლესლავოვოს ბიზნეს კვირეულში“ მიიღო მონაწილეობა. ქალაქ მარნეულის №5 და №8 საჯარო სკოლის მოსწავლეები თეკლა აბესაძე და გუნაი ბაქიროვა მუნიციპალიტეტის გამგეობამ, გამოცხადებული კონკურის წესით შეარჩია.

აღსანიშნავია, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტიდან ბიზნეს კვირეულში მოსწავლეების მონაწილეობა, გამგებლის უშუალო ჩართულობით, პოლონურ მხარესთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე მოხდა.

➤ 2016 წელს მჭიდრო კავშირები დამყარდა პოლონეთის პომერანიის სავოევოდოსა და მარნეულის მუნიციპალიტეტს შორის, რის შედეგადაც, პრაქტიკის გაზიარების მიზნით რამდენიმე საქმიანი ვიზიტი განხორციელდა.

ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის მოეწყო სასწავლო შეხვედრები პოლონური გამოცდილების გასაზიარებლად თვითმმართველობის, მცირე მეწარმეობისა და ტურიზმისა და ტურიზმის განვითარების მიმართულებით.

მარნეულში სტუმრად იმყოფებოდა კობილნიცის გმინის მერი ლეშეკ კულინსკი მიზნობრივ დელეგაციასთან ერთად. ვიზიტის დასასრულს, მათგან მივიღეთ წერილობითი შემოთავაზება ერთმანეთს გამოცდილება გავუზიაროთ ისეთ საკითხებში, როგორცაა:

- მმართველობითი ინსტიტუტების ფუნქციონირება;
- კულტურა;
- განათლება;
- სპორტი
- გარემოს დაცვა;

ასევე, პოლონეთის პომერანიის სავოევოდოს კარტუზის მუნიციპალიტეტი (გმინა) თანამშრომლობას გეგმავს თვითმმართველობის, კულტურის, განათლებისა და ტურიზმის მიმართულებით.

სპორტი

➤ წელს მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტსმენებმა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში სხვადასხვა რანგის ტურნირებზე მოიპოვეს 173 ოქროს, 63 ვერცხლის და 97 ბრინჯაოს მედალი.

➤ მათ შორის მარნეულის მუნიციპალიტეტმა საუკეთესო შედეგის მქონე 22 სპორტსმენი წაახალისა ფულადი ჯილდოთი რომლის საპრიზო ფონდი შეადგენს 13314 ლარს.

➤ მარნეულის მუნიციპალიტეტში განვითარებული არის 15 სპორტის სახეობა და 2017 წელს დაგეგმილია 2 სპორტის სახეობის რაგბისა და მხატვრული ტანვარჯიშის დამატება. ასევე მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა ფიქრობს ზოგადად მუნიციპალიტეტის სპორტული პოლიტიკის, მაქსიმალურად მორგებასა და სპორტის ჯგუფების ჩაშლას სოფლებში იმისათვის, რომ უფრო მასიური გახდეს.

➤ ასევე მუნიციპალიტეტმა შეისყიდა ფეხბურთის სტადიონის სახარჯთაღრიცხვო საპროექტო დოკუმენტაცია და უახლოეს მომავალში იგეგმება მარნეულის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია.

ტურიზმი

გასული წელი კიდევ უფრო საინტერესო და ნაყოფიერი იყო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის კუთხით.

მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემონახულია ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები, მათი დაცვისა და შემდგომი რეაბილიტაციისათვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თანამედროვე მეთოდებით განხორციელდა დაახლოებით 108 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, მათ შორის ქრისტიანული, მუსლიმური, გრიგორიანული რელიგიური ძეგლების ინვენტარიზაცია/კვლევა. რის შემდეგაც ეტაპობრივად მიმდინარეობს კულტურის სამინისტროსთან მუშაობა, მათთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად. აღსანიშნავია, რომ ეს ღონისძიება არამარტო ძეგლის დაცვას შეუწყობს ხელს, ასევე დიდი მნიშვნელობა ექნება მათ აღდგენას შემდგომში ტურიზმის, განვითარების ხელშეწყობისთვის.

რაც შეეხება, უახლესი პერიოდის დროინდელ ისტორიულ ძეგლებს, მათგან შესწავლილი იქნა გერმანული დასახლებები, რომლებიც ახკერპისა და თამარისის ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარეობს. აღწერასა და შესაბამის კვლევასთან ერთად, ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე მოხდება მათთვის ძეგლის სტატუსის მინიჭება და კონკრეტულ ობიექტებზე გადაუდებელი დაცვითი ღონისძიებების განხორციელება. შესრულებულმა სამუშაოებმა აჩვენა, რომ კვლევა გაგრძელდება მომდევნო წლებშიც და თვითმმართველობა გააგრძელებს ინფორმაციული და ტექნიკური ხელშეწყობის მიზნით თანამშრომლობას ყველა იმ ორგანიზაციასთან, რომლებიც კანონის ფარგლებში უფლებამოსილები არიან ძეგლთა დაცვაზე და მათთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭებაზე. ეს ღონისძიებები ხელს შეუწყობს შენარჩუნებული იქნას ამ ძეგლების ავთენტურობა და შემდეგ თაობებს გადაეცეთ პირვანდელი სახით.

ტურიზმის სფეროში მარნეულისთვის საკუთარი ნიშის მოსაპოვებლად თვითმმართველობა აქტიურად მუშაობს. ვინაიდან მარნეული მულტიეთნიკური მუნიციპალიტეტია, ეთნო-ტურიზმის განვითარების უდიდესი პოტენციალი გააჩნია. რაიონში ჩამოსულ ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ ეზიარონ, ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა ეთნოსის (ქართული, აზერბაიჯანული, სომხური და სხვა) ტრადიციებს და კულტურას.

აღსანიშნავია, რომ თვითმმართველობის მხრიდან პოლონურ მხარესთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, მუნიციპალიტეტს პირველი ტურისტული ჯგუფიც ესტუმრა, რომელმაც დაინტერესებულნი იყვნენ აქაური მრავალფეროვანი ეთნო კულტურითა და ტრადიციების გაცნობით.

ტურისტული ვიზიტის ფარგლებში, ჯგუფის წევრები ქართულ და აზერბაიჯანულ ოჯახებს ესტუმრნენ, სადაც ოჯახურ გარემოში ეზიარნენ ადგილობრივ წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებს, ფოლკლორს. მონაწილეობა მიიღეს და დააგემოვნეს ტრადიციული რეცეპტების მიხედვით მომზადებული კერძები.

პოლონელი სტუმრები მარნეულის კულტურის ცენტრსაც ესტუმრნენ, სადაც ქორეოგრაფიული ჯგუფების წევრებთან ერთად ქართული და პოლონური ეროვნული ცეკვების მასტერკლასებიც ჩაატარეს.

აღსანიშნავია, რომ პოლონელები პირველები აღმოჩნდნენ, ვინც მარნეულის ეთნო ტურიზმის პოტენციალით დაინტერესდნენ.

იმირის გორაზე მუზეუმის მოწყობა

იმირს გორაზე, ღია სამუზეუმო სივრცის მოწყობის მიზნით მუნიციპალიტეტი აქტიურად მუშაობს. რაც გულისხმობს სოფელ იმირში, ძვ.წ. VI ათასწლეულით დათარიღებული არქეოლოგიური აღმოჩენების ადგილზე, ღია მუზეუმის სივრცის მოწყობის განსახორციელებლად შესაბამისი არქიტექტურული კონცეფციის შემუშავებას და საჭირო ღონისძიებების გატარებას.

ჩვენი ინიციატივით, აღნიშნული იდეის განსახორციელებლად გაფართოებული სამუშაო შეხვედრაც მოვაწყვეთ გამგეობაში, რომელსაც ესწრებოდნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ასოციაცია „ქართული ღვინოს“, ღვინის ეროვნული სააგენტოს, ქვემო ქართლის გუბერნიის, ადგილობრივი ხელისუფლების, კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს, ეროვნული მუზეუმის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს კვლევითი ცენტრისა და არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელები.

მოქალაქეთა ჩართულობის ახალი მექანიზემი „სამოქალაქო ბიუჯეტი“

მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით პოლონური გამოცდილების მაგალითზე დაინერგა ახალი მექანიზმი – სამოქალაქო ბიუჯეტი. ეს არის მექანიზმი, პროცესი, რომელიც მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებასა და ჩართულობას გულისხმობს ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვაში. პროექტის ინიციატორი გახლავთ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ფონდი „სხვა სივრცე“, და ა(ა)იპ „ერთიანი კავკასია“; პარტნიორები კი არიან ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია(ათეა), პროექტი დაფინანსებულია საერთაშორისო სოლიდარობის ფონდის მიერ პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით პროგრამის ფარგლებში „დემოკრატიის მხარდაჭერა“.

2015 წელს იყო საპილოტე პროგრამა, აღსანიშნავია, რომ საქართველოში მარნეულის მუნიციპალიტეტი არის პირველი, რომელმაც განახორციელა „სამოქალაქო ბიუჯეტი“ და საკამაოდ წარმატებითაც, რასაც ცხადყოფს მიღებული შედეგები. პროექტისთვის ადგილობრივი საერთო ბიუჯეტიდან გამოიყოფა 5%, რაც შეადგენს 1 500 000 ლარს, რომელიც გამოიყენება მოქალაქეთა მიერ არჩეული პროექტების რეალიზაციისთვის.

2015 წელს შემოვიდა 49 საპროექტო განაცხადი და დაფინანსდა 34, საიდანაც 32 პროექტი უკვე დასრულებულია. 2016 წელს კი მივიღეთ 135 პროექტი, საიდანაც მოქალაქეთა მიერ არჩეულ იქნა 51 პროექტი, რომელიც განხორციელდება 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით.

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში მიმდინარე წლის 14–19 ნოემბერს საქართველოდან პოლონეთში იმყოფებოდა დელეგაცია. ოფიციალურ ვიზიტში მონაწილეობდნენ მარნეულის მუნიციპალიტეტის სამი წარმომადგენელი და პროექტში ჩართული აქტიური კოორდინატორები.

აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში მარნეულის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობას იღებდა ქ.გორის მერიის, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის და საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლები. ვიზიტი ითვალისწინებდა, სამუშაო შეხვედრებზე დასწრებასა და საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მიღებას, რომელშიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. ვიზიტის ფარგლებში, მოხდა იმ ქვეყნების წარმომადგენლებთან შეხვედრა, რომლებიც პროექტ „სამოქალაქო ბიუჯეტს“ ახორციელებს. ეს ქვეყნები კი იყვნენ მოლდოვა და უკრაინა. საქართველოსთან ერთად, მოლდოვისა და უკრაინის წარმომადგენლებმა დამსწრე აუდიტორიას გაუზიარეს თავისი გამოცდილება და წარუდგინეს თავიანთი „სამოქალაქო ბიუჯეტის“ მოდელი. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის ხელმძღვანელ პირებთან.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

თვითმმართველობას სოციალური მიმართულებით შემუშავებული აქვს 20– ზე მეტი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ვეხმარებით, სხვადასხვა კატეგორიის ოჯახებს.

ყიზილაჯლოს სენსორული პრობლემების ცენტრი

ყიზილაჯლოს სენსორული პრობლემების მქონე ბავშვთა ადრეული ჩარევის ცენტრის გამართულად ფუნქციონირების საქმეში და სენსორული პრობლემების მქონე ბავშვთა ინტეგრირების პროცესში აქტიურად არის ჩართული ადგილობრივი თვითმმართველობა.

2016 წლისთვის მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყო 65 000 ათასი ლარი.

ყიზილაჯლოს „ადრეული ჩარევის ცენტრი“ 2015 წლის სექტემბრიდან ფუნქციონირებს, სადაც ამჟამად 25 ბენეფიციარი სწავლობს, რომლებიც მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებიდან დადიან (თაზაქენდი, აღმამედლო, ულაშლო, ქურთლიარი, ყიზილაჯლო და მარნეული). ცენტრში დასაქმებულია 11 ადამიანი, აქედან კი 7 ადგილობრივი კადრია.